როგორ ჩამოვუყალიბოთ მოსწავლეებს კონფლიქტ-სენსიტიური დამოკიდებულება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმართ არაფორმალური განათლების საშუალებით

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სტუდენტები: ქეთინო ზარანდია, ლამარა ჯაფოშვილი, სოფიო ნიშნიანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი: პროფესორი დავით მალაზონია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ქეთინო ზარანდია, ლამარა ჯაფოშვილი, სოფიო ნიშნიანიძე.

თარიღი: 18.06.2023

სარჩევი

განაცხადი 1

აბსტრაქტი 5

Abstract 8

მადლობა 10

შესავალი 11

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა 16

რა ვიცით და რას ვასწავლით კონფლიქტების შესახებ? 16

რა არის კონფლიქტ-სენსიტიური განათლება? 18

რატომ არის კონფლიქტ-სენსიტიური განათლება მნიშვნელოვანი? 20

თავი 2. კვლევის მიზანი 23

პრაქტიკის კვლევის მიზანი 23

პრაქტიკის კვლევის ამოცანა 23

საკვლევი კითხვები 24

თავი 3. საკითხის შერჩევა და აქტუალურობა 24

საკითხის შერჩევა 24

საკითხის აქტუალურობა 27

თავი 4. კვლევის მეთოდოლოგია 28

პრაქტიკის კვლევა, როგორც კვლევის დიზაინი 28

პრაქტიკის კვლევის ფაზები და პროცედურები 30

მეთოდები და შერჩევა 32

თავი 5. დიაგნოსტიკური კვლევა 34

დიაგნოსტიკური ეტაპის კვლევის გეგმის სამუშაო ვერსიის მომზადება 34

დიაგნოსტირების ეტაპის მიმდინარეობა და გამოყენებული მეთოდები 34

ძირითადი საკითხები და მიგნებები დიაგნოსტირების ეტაპზე 35

მასწავლებლებთა სიღრმისეული ინტერვიუ 37

ინტერვიუ პირველ პედაგოგთან 38

ინტერვიუ მეორე პედაგოგთან 39

ინტერვიუ მესამე პედაგოგთან 40

მასწავლებელთა სიღრმისეული ინტერვიუს ანალიზი 41

მოსწავლეთა რაოდენობრივი კითხვარი 42
მოსწავლეთა რაოდენობრივი კითხვარის ანალიზი 42
მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფები 46
მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფების ანალიზი 47
განმეორებითი ფოკუს ჯგუფის შედეგების ანალიზი 53
დიაგნოსტიკური ეტაპის შედეგები და დასკვნები 55
თავი 6. ინტერვენციები 56
ინტერვენციების გეგმა 56
განხორციელებული ინტერვენციები: 57
პირველი ინტერვენცია 57
ინტერვენციების ეტაპები 57
მეორე ინტერვენცია 58
ინტერვენციების ეტაპები 59
მესამე ინტერვენცია 61
ინტერვენციების ეტაპები 61
მეოთხე ინტერვენცია 64
ინტერვენციების ეტაპები 64
მეხუთე ინტერვენცია 67
ესეების კონკურსი - “წერილი აფხაზ მეგობარს” 67
ინტერვენციების ეტაპები 67
სასკოლო კვირეული აფხაზეთის შესახებ 69
კვლევის შეზღუდვები 71
სწავლის შედეგები 73
კვლევის ვალიდობა 74
დასკვნები და რეკომენდაციები 75
დასკვნები 75
რეკომენდაციები 77
გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი / ბიბლიოგრაფია 79
დანართები 80
დანართი N1 80

დანართი N2 81
დანართი N3 85
დანართი N4 87

აბსტრაქტი

საქართველოში არსებული კონფლიქტები, რომლებიც დღემდე მომხდარა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა თუ განვითარების საკითხებში. მათ შორის შეიძლება გამოიყოს ბოლოდროინდელი კონფლიქტები, როგორებიცაა 2008 წლის ომი, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები.

კონფლიქტის მოგვარება კომპლექსური პროცესია, რომელიც შესაძლოა წლების განმავლობაში გაგრძელდეს. ასევეა, ჩვენი ქვეყნის შემთხვევაშიც. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კონფლიქტები დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

ჩვენი ნაშრომი შეეხება ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს, უფრო კონკრეტულად კი - როგორ ჩამოვუყალიბოთ მოსწავლეებს კონფლიქტ-სენსიტიური დამოკიდებულება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმართ არაფორმალური განათლების გზით.

აღნიშნული კვლევის მიზანი გახლდათ, ამომწურავი და სწორი ინფორმაცია მიგვეწოდებინა მოსწავლეებისათვის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმართ და მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ჩამოგვეყალიბებინა თემისადმი სენსიტიური დამოკიდებულება.

კვლევა ჩატარდა 2022-23 სასწავლო წელს, ქალაქ თბილისის კერძო სკოლა “თანამედროვე განათლების აკადემიაში“. კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ მე-9 კლასის მოსწავლეები, ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგები. პრაქტიკის კვლევის პროცესში გამოვიყენეთ რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები. კვლევა დავიწყეთ მოსწავლეებთან რაოდენობრივი კითხვარით, შემდეგ კი უკვე მათთან ჩატარდა ფოკუს ჯგუფის შეხვედრა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მოსწავლეებთან კითხვარისა და ფოკუს ჯგუფის შემდეგ მასწავლებლებთან ჩავატარეთ სიღრმისეული, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ.

შერჩეულმა კვლევის მეთოდებმა ნათლად დაგვანახა მოსწავლეთა და მასწავლებელთა დამოკიდებულებები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმართ და რესპოდენტების ცოდნის დონე აღნიშნული თემის ირგვლივ. დიაგნოსტირების პროცესში გამოყენებულმა კითხვარებმა მოგვცა მიმართულება, თუ როგორი სახის ინტერვენციები უნდა განგვეხორციელებინა, რათა კვლევის მიზნისთვის მიგვეღწია.

ინტერვენციები დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი თანმიმდევრობით: თამარ არდაშელიასთან შეხვედრა, რომელიც გახლავთ წარმოშობით აფხაზეთიდან; სტუდია "რე" - "თაობა საზღვრების გარეშე" ფილმის ჩვენება და შემდგომ ფილმის რეჟისორის, ბატონ მამუკა ყუფარაძის მიერ ფილმის განხილვა; ბატონი ლევან გერაძის ლექცია თემაზე "თავისუფლება"; ბატონი ბეჟან ჯავახიას შეხვედრა მოსწავლეებთან თემაზე - "აფხაზეთში განვითარებული მოვლენები, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის კონტექსტში" და ბოლო, შემაჯამებელი, ინტერვენცია ესეების კონკურსი თემაზე "წერილი აფხაზ მეგობარს".

ესეების კონკურსი ერთგვარი შეჯამება იყო ჩატარებული ოთხი ინტერვენციის. მოსწავლეებს შეეძლოთ საინტერესო სახით წარმოედგინათ თავიანთი ხედვა და კავშირები აფხაზ ხალხთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღნიშნულ ინტერვენციაში მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცათ, გამოევლინათ თავიანთი შემოქმედებითი უნარები.

ინტერვენციების განხორციელების შემდეგ მოსწავლეებთან ჩავატარეთ ფოკუს ჯგუფი. შეკითხვები იყო იდენტური პირველადი ფოკუს ჯგუფისა; მსგავსად ჩატარებული განმეორებითი ფოკუს ჯგუფების მიზანი იყო, გაგვერკვია თუ რამდენად ეფექტურად წარიმართა ჩვენ მიერ დაგეგმილი ინტერვენციები, რამდენად მივაღწიეთ იმ მიზანს, რომელიც დაგეგმვის დროს დავისახეთ. ჩვენს მიზანს ასევე წარმოადგენდა, აიმაღლეს თუ არა მოსწავლეებმა ცოდნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და შევძელით თუ არა მოსწავლეებთან ჩატარებული არაფორმალური აქტივობებით კონფლიქტისადმი სენსიტიურობის გაზრდა.

ინტერვენციებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებისთვის მსგავსი საგანმანათლებლო აქტივობების შეთავაზება, რომლებიც ხელს უწყობს აფხაზეთში მცხოვრებ თანატოლებთან პოზიტიური დამოკიდებულების დამყარებასა და ურთიერთობის ხიდების აშენებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კონფლიქტ-სენსიტიური განათლება, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, არაფორმალური განათლების აქტივობები.

Abstract

The conflicts in Georgia, which have taken place until now, play an important role in the preservation and development of the territorial integrity of our country. Recent conflicts, such as the 2008 war, the Georgian-Abkhaz and Georgian-Ossetian conflicts, can be distinguished among them.

Conflict resolution is a complex process that can take years. The same is the case with our country. It can be said that these conflicts remain a serious problem to this day.

Our work is about the Georgian-Abkhazian conflict, or rather, how to form students' conflict-sensitive attitude towards the Georgian-Abkhazian conflict in an informal way.

The purpose of this study was to provide students with comprehensive and reliable information about the Georgian-Abkhaz conflict and to form a sensitive attitude to the topic based on the information provided.

The study was conducted in the 2022-23 academic year at the private school "Academy of Modern Education" in Tbilisi. The study involved 9th grade students, teachers of history, geography and civil education. In the process of researching, we used quantitative and qualitative research methods. We started the research with a quantitative questionnaire with the students, and then a focus group meeting was held with them on this issue. After questioning and focus groups with students, we conducted in-depth, semi-structured interviews with teachers.

The selected research methods clearly showed us the attitude of students and teachers to the Georgian-Abkhaz conflict and the level of knowledge of the respondents on this topic. The questionnaires used in the diagnostic process gave us direction on what kind of interventions we should implement in order to achieve the research objective.

Interventions were planned and implemented in the following order: meeting with Tamar Ardashelia, who is originally from Abkhazia; Studio "Re" - screening of the film "Generation Without Borders" and then discussion of the film by the director of the film, Mr. Mamuka Kufaradze; Mr. Levan Geradze's lecture on "Freedom"; Mr. Bezhan Javakhia's

meeting with students on the topic - "Events developed in Abkhazia, in the context of the struggle for independence" and the last, concluding, intervention essay competition on the topic "A letter to an Abkhazian friend".

The essay competition was a summary of the four interventions. Students could present their vision and connections with the Abkhazian people in an interesting way, it is also important that students were given the opportunity to show their creative skills in the said intervention.

The students were able to present their vision and connections with the Abkhazian people in an interesting way, it is also important that the students were given the opportunity to show their creative abilities in the specified speech.

After the interventions, we conducted a focus group with the students. The questions were identical to the primary focus group; The purpose of repeated focus groups conducted in the same way was to find out how effectively our planned interventions were carried out, and how much we achieved the goal we set during planning. Our goal was also to see if the students increased their knowledge about the mentioned issue and if we were able to increase the sensitivity to the conflict through the informal activities conducted with the students.

Based on the interventions, it is important to offer similar educational activities to the students, which help to establish positive attitudes and build relationship bridges with peers living in Abkhazia.

KEYWORDS: Conflict-sensitive education, Georgian-Abkhazian conflict, Informal educational activities.

მადლობა

მადლობას ვუხდით “თანამედროვე განათლების აკადემიის” დირექტორს დავით მალაზონიას კვლევის პროცესში გაწეული მხარდაჭერისა და დახმარებისათვის. ასევე, ბატონი დავითი გახლდათ ჩვენი კვლევის აკადემიური ხელმძღვანელი, შესაბამისად ორმაგად ვუხდით მადლობა გაწეული შრომისათვის. მან გაგვიზიარა საჭირო ლიტერატურა, დაგვეხმარა ინტერვენციების სწორად დაგეგმვაში და მის მიერ მოცემული უკუკავშირი იყო დროული და მიზანმიმართული.

მადლობას ვუხდით თანამედროვე განათლების აკადემიის მე-9 კლასის მოსწავლეებს, მათ დამრიგებელს ელენე კერესელიძეს და მთელს კოლექტივს აღიშნულ კვლევაში მონაწილეობისა და მხარდაჭერისათვის.

ასევე, მადლობას ვუხდით ინტერვენციის განმხორციელებელ პირებს, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს კვლევის განხორციელების პროცესში და უსასყიდლოდ, კეთილი ნებით მიიღეს მონაწილეობა აღნიშნულ პროცესებში.